ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 244

« 14 » ივლისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მაკა გვაზავასთვის (პ/ნ: 01024014165) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის მაკა გვაზავასთვის (პ/ნ: 01024014165) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 21 ივნისის №22.15.443 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.027.029) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მაკა გვაზავასთვის (პ/ნ: 01024014165) ღია სეზონური კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი